შპს ევროპის უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თბილისი

EU 00000871

17/01/2022

2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში
მობილობის წესით მისაღებ სტუდენტთა
ვაკანტური ადგილების რაოდენობის და სწავლის საფასურის
განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 04 თებერვლის №10-ნ ბრძანების მე-5 მუხლის მე-1 პუნქტის, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2022 წლის 11 იანვრის №1.1/1 ბრძანების, შპს ევროპის უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 23 მარტის №94 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანის მ/შ ნინო გადილიას 2022 წლის 17 იანვრის (სარეგისტრაციო №860), მედიცინის ფაკულტეტის დეკანის ნათია ჯოჯუას 2022 წლის 17 იანვრის (რეგისტრაციის №859), სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მარიამ ბოჭორიშვილის 2022 წლის 13 იანვრის (რეგისტრაციის №666) სამსახურეობრივი ბარათების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს შპს ევროპის უნივერსიტეტში 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის მობილობის წესით მისაღებ სტუდენტთა ვაკანტური ადგილების რაოდენობა და სწავლის საფასური საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით ***დანართი №1-ის*** შესაბამისად.
2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს შპს ევროპის უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტების დეკანებს და სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს.
3. დაევალოს ევროპის უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურს ამ ბრძანების ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე *www.eu.edu.ge* გამოქვეყნების უზრუნველყოფა.
4. დაევალოს შპს ევროპის უნივერსიტეტის საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დაინტერესებულ პირთათვის გაცნობის უზრუნველყოფა.

5. დაევალოს შპს ევროპის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს, უნივერსიტეტის მიერ მობილობისათვის განსაზღვრული ვაკანტური ადგილების რაოდენობის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ ანკეტა-კითხვარში ასახვა არაუგვიანეს 2022 წლის 21 იანვრისა.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ევროპის უნივერსიტეტი
რექტორი
ტალიაშვილი ნინო